

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

2014 წლის 18 ივლისი

ერთი მხრივ, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ თეონა ხუფენიას სახით, და მეორეს მხრივ, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ ერმილე მესხიას სახით, შემდეგში წოდებულნი „მხარეებად“, ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების მიზნით და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით გამოვთქვამთ მზადყოფნას ურთიერთთანამშრომლობაზე და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ურთიერთთანამშრომლობის მიზანი

1. მხარეთა შორის ურთიერთთანამშრომლობა ეფუძნება ურთიერთპატივისცემის, თანასწორობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებს. მხარეები იღებენ ვალდებულებას, შექმნან სათანადო პირობები ამ მემორანდუმის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. მხარეები, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფარგლებში სტუდენტების მომზადებისათვის ხელშეწყობის მიზნით, თანხმდებიან შემდეგი სახის თანამშრომლობაზე:

- აკადემიური, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალის გამოცდილების ურთიერთგაზიარება;
- ერთობლივი საგანმანათლებლო, სამეცნიერო და შემოქმედებითი პროექტების (კონფერენციები, სემინარები, სანახაობრივი წარმოდგენები, გამოფენები, კონცერტები, საჯარო ლექციები, საზაფხულო სკოლები და სხვ.) ორგანიზება და მათში მონაწილეობის მიღება;

- სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის, ბეჭდური გამოცემების და ელექტრონული ფორმის მასალების გაცვლა;
 - საბიბლიოთეკო ფონდებით სარგებლობის უფლება.
2. მოქმედი სტანდარტების შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ხელი შეუწყონ განათლების, ჰუმანიტარული, სოციალური და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით სასწავლო გეგმების შემუშავებაში ჩართულობას, გამოცდილების ურთიერთგაზიარებასა და გაცვლას.
 3. მხარეები იზრუნებენ საგრანტო პროგრამების მოძიებასა და საგრანტო კონკურსებში ერთობლივ მონაწილეობაზე.
 4. მხარეები ითანამშრომლებენ აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 3. მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე უფლებამოსილი ორგანოები

1. წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების ორგანიზებას უზრუნველყოფენ აღნიშნული დაწესებულებების შესაბამისი უფლებამოსილი პირები.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები



1. წინამდებარე მემორანდუმში ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.
2. წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია მხარეთა ხელმოწერისთანავე და მოქმედებს იმ ვადით, სანამ ერთ-ერთი მხარე წერილობით არ მოითხოვს მის შეწყვეტას.
3. მემორანდუმი შედგენილია თანაბარ ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომლის თითოეული ვარიანტი ინახება მხარეებთან.

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი თეონა ხუფენია




ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. № 14
 (+995 415) 25 62 17
 zssuedu@gmail.com
 www.zssu.ge

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ერმილე მესხია

ბათუმი, ლუკა მსათიანის ქ. № 37
 +995(422) 279 895; +995(422) 279 353
 info@batu.edu.ge
 www.batu.edu.ge